**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის**

**სააგენტოს დირექტორის**

**ბრძანება №55/ნ**

**2026 წლის 28 იანვარი**

**ქ. თბილისი**

**„ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №51/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის №51/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 29/09/2025, 310010010.77.090.016051) დამტკიცებულ „ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მრავალმხრივი სანებართვო დოკუმენტის გაცემის წესის“ დანართ №1-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**დირექტორი** **ბაკურ მიქაძე**